შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (9.799)
30 სექტემბერი-7 ოქტომბერი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გერმანია-საქართველოს ურთიერთობის ახალი ფურცელი

გ 3 . 2

გ 3 . 2

ზემო მაჩხაანში სანიადვრე არხების რეაბილიტაცია დასრულდა



გ 3 . 5

არ არსებობს იმაზე რთული პროფესია, ვიდრე ექთნობაა

ჯანსაღი ცხოვრების წესი, თუ მავნე ჩვევები?!

გ3.6

გ3.4

საქართველოში ფერმერთა სათათბირო შეიქმნა

გ 3 . 3

„წითელი ჯვრის“ “ დედოფლისწყაროელი ექიმები მოსახლეობის სამსახურში



ქვეყანა დემოგრაფიული კრიზისის ზღვარზე...

გ 3 . 4

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 21 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

გერმანია-საქართველოს ურთიერთობის ახალი ფურცელი

გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობათა გაღრმავების პერსპექტივები, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტერესები, ავღანეთში ნატოს მისიაში შეტანილი წვლილი და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს პრობლემები - ასეთია იმ ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც 27 სექტემბერს განიხილებოდა ბერლინში, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრის ფარგლებში. განსაკუთრებით ესმება ხაზი იმ ფაქტს, რომ ეს შეხვედრა შედგა სამ დღეში მას შემდეგ, რაც კონსერვატიულმა ალიანსმა გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და მერკელმა კანცლერის პოსტის მეოთხე ვადით შენარჩუნების შესაძლებლობა მოიპოვა.

გერმანიის კანცლერის ადმინისტრაციაში გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის შემდეგ ანგელა მერკელს კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, როგორც კანცლერის ოფიციალური ვებსაიტი გვატყობინებს, საუბრისას მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაზე, ერთობლივ მუშაობაზე ევროკავშირთან და ვითარებაზე „რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტულ რეგიონებში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“.

საქართველოს მთავრობის ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრა იყო უაღრესად მნიშვნელოვანი და შედეგიანი. მას შემდეგ, რაც სტუმარმა მასპინძელს 2017 წლის 24 სექტემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, მხარეებმა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის საკმაოდ ბევრი საკითხი განიხილეს როგორც ევროკავშირის, ასევე ნატოს ჭრილში. შეხვედრას, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდა ასევე საქართველოს პრემიერის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში თედო ჯაფარიძე:

„საკითხები უამრავი განვიხილეთ, რა თქმა უნდა: ორმხრივი ურთიერთობების ანალიზი, გაღრმავების პერსპექტივები - განსაკუთრებით ეკონომიკურ კონტექსტში - ვაჭრობა, სხვადასხვა რეგიონული და გლობალური პროექტები, მათში საქართველოს ფუნქცია და როლი, გერმანიის შესაძლო მონაწილეობა... საუბარი იყო ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე - თუ რა ხდება იქ ყოველდღიურად“.

გიორგი კვირიკაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვისაც ანგელა მერკელი 24 სექტემბერს გამართული არჩევნების შემდეგ ასე მოკლე დროში შეხვდა და ეს არ გამოჰპარვიათ არც პოლიტიკოსებს და არც ანალიტიკოსებს. იმის მიუხედავად, რომ ანგელა მერკელის პოლიტიკურ ძალას არჩევნებში 8,5 %-ით ნაკლებმა ამომრჩეველმა მისცა ხმა და ახლა კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაა საჭირო, ექსპერტთა აზრით, ეს გავლენას ვერ მოახდენს გერმანიის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე და კვლავაც არსებობს დიდი შესაძლებლობები გერმანია-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების კუთხით.

გერმანიის კანცლერისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრის მნიშვნელობას ანალიტიკოსთა ერთი ნაწილი განიხილავს ასევე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მოახლოების ჭრილში – სამიტისა, რომელზეც აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართულ სამ მოწინავე ქვეყანას – უკრაინას, მოლდავეთსა და საქართველოს, – პარტნიორების დახმარებით, მეტი მხარდაჭერის მოპოვების იმედი აქვს. ნოემბერში დაგეგმილი სამიტისგან განსაკუთრებულ შედეგებს არ ელოდება პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილი, მაგრამ მისთვის ცხადია, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ბერლინი ძალიან დიდ როლს თამაშობს:

„გერმანიის სიტყვა, რა თქმა უნდა, წონადი და ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ გერმანიის წილი ევროკავშირის ნებისმიერ პროექტში არის უფრო მაღალი, ვიდრე ევროკავშირის სხვა ნებისმიერი ქვეყნისა. გერმანია არის ლოკომოტივი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის ყველა ინიციატივისა... რა თქმა უნდა, გერმანიის როლი ძალიან წონადია და გერმანიის მხარდაჭერის გარეშე ძნელია, რომ რაიმე გადაწყვეტილება იქნეს მიღებული ან რაიმე პროგრესი ვიხილოთ“.

ბერლინის ზეგავლენა რომ დიდი და გადამწყვეტია, ეს იმ დროსაც გამოჩნდა, როდესაც საქართველო სავიზო ლიბერალიზაციას ელოდებოდა და გერმანია სახელდებოდა ერთ-ერთ მთავარ სკეპტიკოს ქვეყნად ამ მიმართულებით. სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ ეწვია ანგელა მერკელს გიორგი კვირიკაშვილი 2016 წლის ივნისში. იმ დროს ბერლინმა თავისი პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირა, მოვლენებიც სწორედ შესაბამისი სცენარით განვითარდა და საქართველოსთვის რამდენიმე თვეში გაუქმდა სავიზო რეჟიმი ევროკავშირის/ შენგენის ზონის ქვეყნებში. ექსპერტებისთვის უდავოა, რომ **ბერლინის სიტყვას დიდი წონა აქვს ნატოს ფარგლებშიც და დიდწილად სწორედ გერმანიის უარის გამო ვერ მიიღო საქართველომ ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე.**

იმისათვის, რომ გერმანიის მეტი მხარდაჭერა მოიპოვოს, საქართველოს მუდმივი ძალისხმევა ესაჭიროება და ქვეყანამ უნდა წარმოაჩინოს თავი როგორც კეთილსაიმედო, დემოკრატიულმა სახელმწიფომ, - ამბობს პოლიტოლოგი გიორგი გობრონიძე. მისი შეფასებით, ზედმიწევნით პრაგმატული ბერლინი პრინციპული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს:

„გერმანიამ უნდა დაინახოს ორი რამ საქართველოსთან ურთიერთობაში: პირველი ის, რომ საქართველოსთან ევროკავშირის მჭიდრო თანამშრომლობა არ დააზარალებს ევროკავშირს და საქართველოს შეუძლია იყოს არა მხოლოდ მომხმარებელი ევროპული ინტეგრაციის სიკეთეების, არამედ თვითონაც იყოს გარკვეულწილად კონტრიბუტორი ამავე მიმართულებით; და მეორე მხრივ, გერმანიამ უნდა დაინახოს ის, რომ რესურსი და ინვესტიცია, რაც გაღებული იქნება საქართველოს დასახმარებლად, არ იქნება წყალში გადაყრილი... სწორედ გერმანიის სკეპტიციზმი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და ჩვენ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ კონტინენტურ ევროპაზე ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არის გერმანია და საფრანგეთი, ნაკლებად დააფიქსირონ სკეპტიკური პოზიციები საქართველოსთან მიმართებაში“.

ანალიტიკოსების აზრით, ხელისუფლებას მუდმივი მუშაობა მართებს როგორც საქართველოს სანდო იმიჯის შესანარჩუნებლად, ასევე იმისთვის, რომ ქვეყნის პრობლემები და საჭიროებები მუდმივად შეახსენოს პარტნიორებს.

ზემო მაჩხაანში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია დასრულდა

სოფელ ზემო მაჩხაანში, მირზაანში და არბოშიკში სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა და ცენტრალურ ქუჩაზე სანიაღვრე არხის კაპიტალურ მოწყობას ითვალისწინებდა. ადგილობრივები სანიაღვრეების მოწყობას დიდი ხანია ითხოვენ, თუმცა საჭირო ფინანსების გამონახვა ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

ზემო მაჩხაანელები შესრულებული სამუშაოებით კმაყოფილებას გამოხატავენ და იმ დღეებს იხსენებენ, როცა მთავარ ქუჩაზე გავლა შეუძლებელი იყო, ნალექი კი მათ ყოფას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა.



„წარმოუდგენელ დღეში ვიყავით, წვიმიან ამინდებში ქუჩაში გავლა, გზაზე დგომა, თუ მოსაცდელში ლოდინი ფაქტიურად წარმოუდგენელი იყო, ისეთი ნიაღვარი მოდიოდა ხოლმე. სკოლაც აქვე მდებარეობს, მოსაცდელიც და ვერც ბავშვები ახერხედნენ ნორმალურად და სუფთად გავლას და ვერც უფროსები. ამას გარდა, სოფლის ქვემოთ ნაწილში, ცენტრალურ გზაზე მაცხოვრებლები ძალიან მძიმე ვითარებაში ვიყავით, ხშირად ღვარი ეზოებში გვივარდებოდა. რომელი ხელისუფლებაც ჩვენამდე მოდიოდა, ყველას ვეუბნებოდით არსებული პრობლემის შესახებ, ვის აღარ ვთხოვეთ, მაგრამ ამ დრომდე ვერ დაადგა საშველი. ახლა მადლობის მეტი რა გვეთქმის, მოგვისმინეს და თავი მოაბეს, საშვილიშვილო საქმე გაკეთდა., “ - აღნიშნავენ ზემო მაჩხაანის მაცხოვრებლები.

როგორც სოფელ ზემო მაჩხაანში გამგებლის წარმომადგენელმა **გიორგი იაკობიშვილმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სანიაღვრე სისტემების მშენებლობა სოფელში სამომავლოდაც გაგრძელდება.



„ეს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი პროექტია. მისი განხორციელება ორ ეტაპად მოხდება. პირველ ეტაპზე ცენტრალურ ქუჩაზე განხორციელდა არხის გაყვანა, მთავარ მაგისტრალზე სოფლის ბოლომდე გასდევს, გრძელდება მირზაანში და არბოშიკის ხევამდე ჩადის. ბეტონის ფილებით კეთილმოეწყო საცხოვრებელ სახლებთან გადასასვლელები, დაიფინა და ძალიან კარგად გაკეთდა. სკოლაც აქეთ მდებარეობს, ცენტრალური მოსაცდელიც აქაა და საკმაოდ ცუდი სიტუაცია იყო. მოქალაქეები დიდი ხანია გვთხოვდნენ ამ პრობლემის გადაწყვეტას. ოჯახები ხშირად ზარალდებოდნენ, მაგრამ ვერ მოხერხდა მისი გადაჭრა. სამუშაოებს წნორში რეგისტრირებული კომპანია ახორციელებდა. ამჯერად პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულებულია, რჩება პროცედურული საკითხები, თუმცა, მუშაობა დაასრულეს. ახლა ველოდებით სოფლის ზედა ნაწილში, ე.წ. მეორე ქუჩაზე, რომ იგივე ფონდი მეორე ეტაპისთვის უკვე სრულად დააფინანსებს სანიაღვრე სისტემის მშენებლობას. მინდა გითხრათ, რომ აქ გაცილებით რთული ვითარება გვაქვს, რადგან ეს გზა მოასფალტებული არ არის და ნალექის დროს ქვა-ღორღი და ხრეში წყალს მოაქვს, რაც გაუსაძლის ვითარებას ქმნის. სავარაუდოდ, 2018 წლის ბიუჯეტში რეგიონული ფონდი მეორე ეტაპის სამუშაოებს დაიწყებს“.

ამის გარდა, სოფელ ზემო მაჩხაანში რეაბილიტაცია უტარდება საბავშვო ბაღს. შენობის პირველი სართული კაპიტალურად, თანამედროვე სტანდარტებით კეთდება. ბავშვთა კონტინგენტის ზრდის გამო, შენობის კეთილმოწყობის აუცილებლობაც დადგა. სულ მალე ზემო მაჩხაანელ აღსაზრდელებს კეთილმოწყობილი სამზარეულო, ცენტრალური გათბობა და ლამაზი ოთახები მოემსახურება.

ილია მარტყოფლიშვილი

საკრებულოს სხდომა გაიმართა

27 სექტემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. სხდომის დასაწყისში ნუგზარ პაპიაშვილმა 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღე გაიხსენა. მან ქართველ მებრძოლთა თავდადებაზე ისაუბრა, რის შემდეგაც საკრებულოს წევრებმა აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნას პატივი წუთიერი დუმილით მიაგეს.

დღევანდელ სხდომაზე საკრებულომ კენჭი უყარა და მხარი დაუჭირა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების თაობაზე“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აგვისტოს №43 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს. შესაბამისად, დადგენილების დებულების პრეამბულა, მე-8-ე, მე-9-ე და მე-10-ე მუხლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

1. დებულების პრეამბულა :

„ეს დებულება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 31-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფლებამოსილებას, სტრუქტურას და მისი სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოხელეთა უფლება-მოვალეობებს.“

2. დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

3. დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესებულების მეორად სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

4. დებულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. აპარატის საჯარო მოხელეები თანამდებობეზე ინიშნებიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“

დღესვე, საკრებულოს წევრებმა კენჭისყრის გარეშე ცნობად მიიღეს ინფორმაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

„წითელი ჯვრის“ დედოფლისწყაროელი ექიმები მოსახლეობის სამსახურში

რამდენიმდე დღის წინ საქართველოს წითელი ჯვრის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერის, ექიმი-გინეკოლოგის ქალბატონი ნათელა თამაზაშვილის ხელმძღვანელობით დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის ექიმები პანკისის ხეობის მოსახლეობას სტუმრობდნენ. დედოფლისწყაროელმა ექიმებმა ახმეტის რაიონსა და პანკისის ხეობის სოფლებში უფასო სამედიცინო აქცია მოაწყეს, რაც ადგილობრივებისთვის მეტად საჭირო იყო.

წითელი ჯვრის კომიტეტის თხოვნით 20-21-22 სექტემბერს სამდღიანი აქცია გვქონდა ახმეტის რაიონის სოფლებსა და პანკისის ხეობაში, მოვიცავით სოფლები: მატანი, აწყური, დუისი, ჯოყოლო და ომალო. ვმუშაობდით დილიდან საღამომდე, ვაწარმოებდით ყველანაირ გამოკვლევებს -ექოსკოპიურს, კარდიოლოგიურს, ლაბორატორიულს, გვყავდა თერაპევტი, კარდიოლოგი, ექოსკოპისტი და გინეკოლოგი. აბსოლუტურად ყველა მოსახლე დაინტერესებული იყო სრული გამოკვლევით, პაციენტების უმრავლესობა ეცადა, რომ ყველა დარგის სპეციალისტებს გასინჯვოდა. იყო ძალიან მაღალი აქტივობა და ამის პარალელურად მადლიერებაც გამოსჭვიოდა თითოეულ პაციენტისგან. დაფიქსირდა ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა, ზოგს დიაბეტი ჰქონდა და არ იცოდა, ბევრი დაავადება გამოვავლინეთ როგორც გინეკოლოგიური, ასევე კარდიოლოგიური და ექოსკოპიური გამოკვლევების საფუძველზე, რა თქმა უნდა მიეცათ შესაბამისი დანიშნულება, ან შემდგომი დამატებითი გამოკვლევებისთვის გავაგზავნეთ შესაბამის დაწესებულებებში.

– ძირითადად რა დაავადებები აღმოაჩნდათ პაციენტებს და რამდენი მათგანი გასინჯეთ აქციების დროს?

– ძირითადად გამოიკვეთა თირკმლის, ნაღველკენჭოვანი დაავადებები, როგორც ჩანს იქ იოდის ნაკლებობაცაა, რადგან ძალიან ხშირი იყო ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერტროფია. მთლიანობაში 180 ადამიანი მივიღეთ, თუმცა, თითოეული პაციენტი ყველა პროფილის ექიმს გაესინჯა და უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

– როგორ შეხვდა ამ აქციას ადგილობრივი მოსახლეობა, კმაყოფილი იყო თუ არა თქვენი ჩასვლით და ასეთი აქციები ხშირია მათთან თუ არა?

– როგორც გავიგეთ, იქ ასეთი აქციები თითქმის არ ყოფილა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შორს არის, გზა შორია, არ აქვთ სპეციალიზებული საავადმყოფოები, სოფლებში არის ამბულატორიის დონეზე კლინიკები, სადაც არ ხდება ესეთი გამოკვლევები. ამდენად მოსახლეობას ძვირი უჯდება გადაადგილება და წასვლა ისეთ ადგილებში, სადაც ეს გამოკვლევები ხდება და, რა თქმა უნდა, ყველა დაინტერესებული იყო, მიეღო სამედიცინო მომსახურება. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მოსახლეობა იყო მოწესრიგებული და მობილიზებული, მათ ეტყობოდათ, რომ ჯანმრთელობის ფასი იცოდნენ და ზრუნავდნენ მასზე. ბევრ მათგანს, ზოგს გროზნოში, ზოგს თბილისში, ზოგს თელავში გამოკვლევები ჰქონდათ ჩატარებული და გადამოწმება უნდოდათ, მკურნალობის შემდგომი პერიოდისთვის როგორ ემორჩილებოდა მათი დაავადებები მკურნალობას.

– სად ხდებოდა თქვენი აქციების განხორციელება, იყო თუ არა შესაბამისი ამბულატორიული ბაზა ახმეტის რაიონის სოფლებში, სადაც მიიღებდით პაციენტებს?

– ახმეტაში წითელი ჯვრის ოფისი იყო და იქ ვაწარმოებდით მიღებას, მიმდინარე სოფლების ამბულატორიაში ვერ მოვახერხეთ, რადგან იქ არ იყო შენობები მწყობრში და სოფლის რწმუნებულის ოთახებში მივიღეთ ხალხი. აბსოლუტურად განსხვავებულია სოფლების სამედიცინო ჯანდაცვის ცენტრების აღჭურვა. არ ჰქონდათ ახმეტის აქეთ სოფლებს ისეთი აღჭურვილობა, როგორიც იყო პანკისის ხეობის სოფლებში, სადაც ჩვენ ვიხილეთ ბევრად ხელშეწყობილი სოფლები ამ კუთხით, ვიდრე, მაგალითად, მატანში და ალვანში. ამ ხალხს ჰქონდათ პრეტენზიები, რომ ჩვენ არ გვაქცევს მთავრობა ისეთ ყურადღებას, როგორც ქისტებსო, ანუ პანკისის ხეობა მაინც რატომღაც უფრო ხელშეწყობილია, ჰქონდათ უნიკალური ამბულატორია, აღჭურვილი უმაღლეს დონეზე, სადაც ვაწარმოებდით მიღებას, ახმეტის ქართულ სოფლებში ტახტებსაც ვერ ვპოულობდით, რომ პაციეტი გაგვესინჯა, რკინის საწოლებზე ვსინჯავდით. აი, პანკისიში კი იყო სასწაულად უმაღლეს დონემდე ყველაფერი. ეს უნდა აღინიშნოს აუცილებლად იმიტომ, რომ უკმაყოფილოა ახმეტის რაიონის მოსახლეობა ამ თვალსაზრისით, რადგან ისინი გრძნობენ, რომ პანკისელებს უფრო მეტი ყურადღება ექცევათ, ვიდრე მათ.

– ახმეტის რაიონის სოფლები და პანკისის ხეობა, ზოგადად, ძნელი მისასვლელია. ტრანსპორტირება როგორ შეძელით და ვინ დააფინანსა ეს აქცია ზოგადად?

– ყველაფერი „წითელმა ჯვარმა“ დააფინანსა, საოჯახო სასტუმროთი დაწყებული, დამთავრებული კვებით და უმაღლესი მომსახურებით. დახვედრა იყო ბრწყინვალე პირობებით, ტრადიციებით, გადასარევი კვებით, საუკეთესო მოპყრობით და დამოკიდებულებით. ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია, ყველაფერი იყო ნორმალურად, რაც მასპინძლობის რანგში შეიძლებოდა სტუმრებს გვეგრძნო. უბრალოდ ,ვიღლებოდით ძალიან, რადგან ბევრი სამუშაო იყო. ამ სამი დღე - ღამის განმავლობაში, საკმაოდ ბევრი პაციენტი მივიღეთ, 180 რომ ვახსენეთ,ეს უტოლდებოდა ხუთჯერ ასოთხმოცს, რადგან ისინი ყველა პროფილის ექიმს გაესინჯნენ.

– პაციენტების მხრიდან რა იგრძენით, მაინტერესებს, რაკი მათთან გქონდათ გინეკოლოგიურად შეხება, მართალია თუ არა, ქალის წინადაცვეთის ტრადიცია?

– კმაყოფილები დარჩნენ ძალიან, ძალიან, ამას გამოხატავდნენ კიდეც. კი იყო ვაჰაბისტური მიმდინარეობა პანკისში, ვინც ასეთი ტრადიციებით იზრდებიან, არაჩვეულებრივი ახალგაზრდა გოგონები ჰყავთ, ულამაზესი ხალხია, იყო გასინჯვის შედეგად ასეთი ნიშნებიც, მე მათ ვესაუბრე და დავინტერესდი სწორედ ამ საკითხითაც,ზოგადად ჩაკეტილი ხალხია, თუმცა, გოგონები გულღიად მესაუბრნენ, რომ ასეთი ტრადიცია ნამდვილად აქვთ, ეს არ არის მართალია სასურველი, თუმცა, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ეს ტრადიციაა და ამას ჩვეულებრივად ვეგუებითო. ეს მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა და ამას ვერც ჩვენ შევცვლით. რაც შეეხება დამოკიდებულებას ჩვენდამი, მოსახლეობა კმაყოფილი იყო და აღარ იცოდნენ რა ექნათ, რომ წამოვედით იქიდან ინფორმაციებიც გვაქვს და ვიგებთ, რომ ძალიან მადლიერი დარჩენილა ხალხი. ტელეფონის ნომრებიც გამოგვართვეს, რომ მკურნალობის პერიოდში დაგვირეკონ და მიიღონ ჩვენგან კონსულტაცია. დანიშნულების მერე როგორ იქნებოდნენ, დაგვირეკეს და ძალიან დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ. სულ რამდენიმე დღეში მოუწესრიგდათ ის დარღვევები,რაც აღმოაჩნდათ.

– თქვენი სამომავლო გეგმები როგორია?

– უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, სადაც საჭიროა იქ დავდგეთ ჩვენს სიმაღლეზე. „წითელი ჯვრის“ საექიმო კაბინეტი საქართველოში ცოტაა. „წითელი ჯვრის“ ხაზით, არის გარდაბანში კლინიკა და არის გორში, სხვაგან არაა. არც თელავშია. ჩვენ რომ გვითხრან დღეს, რომ წალენჯიხაში წადითო, მზად ვართ, რომ ხვალ იქ წავიდეთ, ეს ჩვენი მოვალეობაა და ამას პირნათლად როგორც აქამდე ვასრულებდით, ისე მომავალში გავაგრძელებთ.

– არის თუ არა რაიმე განსაკუთრებული ანაზრაურება ასეთი დატვირთული აქციების შემდეგ, რადგან ეს ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს თქვენგან?

– არა, არანაირი განსაკუთრებული ანაზღაურება არ გვაქვს და არც არაფერს ვითხოვთ, ჩვენ გვაქვს მხოლოდ ხელფასები, რაშიც გვერდით გვიდგას ჩვენი მუნიციპალიტეტი, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო მათ. სხვა განსაკუთრებული ანაზღაურება, ან გამორჩეული ხელფასი არ გვაქვს. მხოლოდ ის, რომ ტრანსპორტირება, სასტუმრო და კვება ყოველმხრივ ეზრუნველყოფილი გვაქვს თავად „საქართველოს წითელი ჯვრის“ კომპანიისგან.

ლალი მეხრიშვილი

საქართველოში ფერმერთა სათათბირო შეიქმნა

25-26 სექტემბერს საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ (GFA), ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს ფერმერთა სათათბირო ოფიციალურად დაარსებულ.

საკონსულტაციო ორგანოში 60 მუნიციპალიტეტიდან 120 ფერმერი იქნება წარმოდგენილი როგორც რეგიონულ დონეზე, ასევე, საქმიანობის სფეროების მიხედვით. ფერმერთა სათათბიროში დედოფლისწყაროელი ფერმერების ინტერესებს ზურაბ მასურაშვილი და ბექა გონაშვილი დაიცავენ.

როგორც გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ზურაბმა და ბექამ განაცხადეს, „სათათბიროს მიზნებია, ფერმერთა ინტერესების დაცვა და საკანონმდებლო პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის საკომუნიკაციო ჯაჭვის მუნიციპალურ დონეზე გავრცელების გზით. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია გეგმავს, ფერმერებისთვის სხვადასხვა სახის სასწავლო პროგრამების ორგანიზებას, რაც მათ საშუალებას მისცემს მიღებული ცოდნა მოახმარონ საკუთარი რეგიონის განვითარებას; გახდნენ უფრო მეტად კონკურენტუნარიანები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე“.

ზურაბ მასურაშვილი: „ფერმერთა სათათბიროს ჩამოყალიბება დაეხმარება ფერმერებს რიგი პრობლემების იდენტიფიცირებაში და გაუადვილებს მათი პრობლემების მიტანას ცენტრალურ მთავრობასთან. პრობლემების გამოაშკარავება რეგიონალურ დონეზე უპირობოდ გამოიღებს დიდ შედეგს.

მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავჯდომარეს ქალბატონ ნინო ზამბახიძეს, მსგავსი ტიპის ნოვატორული პროექტებისთვის,რაც ჩვენ, ფერმერებს, დღეს ასე ჰაერივით გვჭირდება. მადლობა იმ დიდი ღვაწლისთვის, რაც ფერმერებისთვის კეთდება“.

სათათბირო დაყოფილია სექტორულ ჯგუფებად, სადაც განიხილება სხვადასხვა სექტორში არსებული აქტუალური თუ პრობლემური საკითხები. საკონსულტაციო ორგანოში შეიქმნა რეგიონული, კოოპერატივებისა და აგროპოლიტიკის კომიტეტები.

ფერმერთა სათათბიროში ხმის მიცემის პროცედურა ხორციელდება მობილური აპლიკაციით (Evote სისტემით, რომელიც შეიძლება ჩამოიტვირთოს „iOS“ -ისა და „Android“-ის სისტემის სმარტფონებზე), რომელიც სპეციალურად სათათბიროსთვის შეიქმნა პროცესის გამჭვირვალობისათვის.

სათათბიროსთვის შექმნილი წესდების მიხედვით, ფერმერთა სათათბიროს გაფართოებული შეხვედრები ჩატარდება წელიწადში ორჯერ, ხოლო სექტორული - სამ თვეში ერთხელ.

ფერმერთა ასოციაციის მრჩეველთა საბჭოების ხელმძღვანელები/ექსპერტები, მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად, მოთათბირეებს მიაწვდიან რეკომენდაციებს სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების, საკანონმდებლო ცვლილებების, სამომავლო პერსპექტივებისა და ამ მიმართულებით მომუშავე დონორების შესახებ.

სასწავლო პროგრამების გავლის, ექსპერტების რეკომენდაციებისა და ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერის შედეგად, მოთათბირეები შეძლებენ მთავრობის მიერ ინიცირებული იმ კანონპროექტების შემუშავების პროცესში ჩართვას, რომლებიც უშუალოდ ეხება ფერმერთა, როგორც მცირე მეწარმეების კეთილდღეობას.

სათათბიროს ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დარგის სპეციალისტები და მაღალკვალიფიციური ექსპერტები.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციაციამ სათათბიროს შექმნის ინიციატივა მის წევრ ფერმერებს, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს 2016 წლის 1 დეკემბერს წარუდგინა, სადაც

კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით მიიღეს სათათბიროს ფორმირების გადაწყვეტილება.

სათათბიროს ფორმირება მოხდა ევროკავშირის მხარდაჭერით, ორგანიზაციის „ქეა - საერთაშორისო კავკასიაში“ მიერ განხორციელებული ENPARD-ის პროექტის „თანამშრომლობა სოფლის განვითარებისათვის საქართველოში“ ფარგლებში, და ასევე ორგანიზაცია „ოქსფამის“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში.

ევროკავშირი (EU) ხელს უწყობს სოფლად სიღარიბის შემცირებასა და სოფლის განვითარების თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ENPARD-ის დახმარებით. 2013-2019 წლებისათვის ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 102 მილიონ ევროს შეადგენს. პროგრამის პირველი ფაზის პრიოტიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე ფაზა სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას ისახავს მიზნად.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ქვეყანა დემოგრაფიული კრიზისის ზღვარზე...

მოსახლეობის შემცირებული გამრავლება ხშირად არაჯანსაღი სქესობრივ-რეპროდუქციული ჯანმრთელობის გამო, გარე და შიდა მიგრაციის მასშტაბები, ინტელექტის გადინება, სოციალური დღის წესრიგი, გადატანილი ომები, ეს არასრული ჩამონათვალია იმ მიზეზთაგან , რომლის გამოც ჩვენი ქვეყანა დემოგრაფიული საფრთხის ქვეშაა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევების მონაცემებით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიონ 170 ათასით შემცირდება და ქართველები კავკასიის რეგიონში უმცირესობაში მოხვდებიან. თუ ისტორიულად სამხრეთ კავკასიაში ქართველები ყოველთვის ჭარბობდნენ სომხებსა და აზერბაიჯანელებს, ამჟამად აზერბაიჯანელები შობადობის უაღრესად მაღალი დონის გამო, 5 მილიონით აღემატებიან ჩვენს მოსახლეობას.

დღეს ჩვენი ხელისუფლება ითვალისწინებს რა აღნიშნულ მდგომარეობას, აქტიურად მიმართავს პრევენციულ ზომებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი დემოგრაფიული საფრთხეები. თუმცა, აქვე უნდა ხაზი გაესვას, რომ უკვე 2010 წელს დემოგრაფიული მდგომარეობის საფრთხეების შესახებ გაერომ აცნობა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მთავრობა ამ მონაცემებს მოსახლეობას უმალავდა და სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, არასწორ მაჩვენებლებსაც აქვეყნებდა, რათა შეცდომაში შეეყვანათ ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან უფასოა მშობიარობა ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, დღითიდღე იზრდება პატრიარქის ნათლულთა რიცხვიც, რაც ძირითადად ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურება, არსებობს გარკვეული შეღავათები მრავალშვილიან ოჯახებზე, ეს ყველაფერი მაინც ცოტა და არასაკმარისია დემოგრაფიული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

ჩვენ ამჯერადაც გავითვალისწინეთ საზოგადოების მაღალი ინტერესი ამ საკითხის მიმართ და კითხვებით ისევ ჩვენივე საზოგადოების წევრებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს მივმართეთ, გვაინტერესებდა, რამდენად სერიოზულ საფრთხედ აღიქვამენ ისინი ამ პრობლემას და რას მიიჩნევენ ამ ვითარების გამოსწორების მთავარ პრიორიტეტად.

რუსუდან ნადირაშვილი, **პედაგოგი** – მსოფლიოში უამრავი ქვეყანა დგას დემოგრაფიული პრობლემის წინაშე. ამ მხრივ, საქართველოშიც მეტად მძიმე მდგომარეობაა. შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა. შეფარდებითი მონაცემებიც ნათლად გვიჩვენებს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ კრიზისს. ძირითადი მიზეზი კი, ჩემი აზრით, ეკონომიკური მდგომარეობაა. ოჯახის წევრების უმეტესობა უმუშევარია. სოციალური შემწეობა კი იმდენად მწირია, ოჯახებს უჭირთ უკვე დაბადებული ბავშვის რჩენა, ახალ სიცოცხლეზე კი ველარც ფიქრობენ. სოციალურმა სიდუხჭირემ დააყენა ჩვენი ქვეყანა დემოგრაფიული საფრთხის წინაშე. ცხოვრების დონე იმდენად დაბალია, ოჯახში ორი ბავშვის ყოლაც კი ფუფუნებაა. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა რეგიონებში. სოფლები დაცლილია მოსახლეობისგან. ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქალაქში მიდიან საცხოვრებლად.

ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თითოეულმა ქვეყანამ შეიმუშავოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია. პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივი მუშაობა. ასევე კარგი იქნება, თუ შეიქმნება დემოგრაფიული განვითარების ფონდი და დაეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს. ეს სტიმული იქნება თითოეული ოჯახისთვის. მივესალმები პატრიარქის წამოწყებას, მესამე შვილის ნათლობასთან დაკავშირებით. ამ ინიციატივამ საგრძნობლად გაზარდა შობადობა. სამუშაო ადგილების ზრდა ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემების დაძლევას. მოსახლეობა დაუბრუნდება სოფელს, განვითარდება მიწათმოქმედება, გაიზრდება ოჯახის შემოსავალი და გაიზრდება შობადობაც. მრავალრიცხოვანი და განვითარებული სოფელი ძლიერი სახელმწიფოს გარანტია.

მარინა ხარაშვილი, **პედიატრი** – ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, მიზეზები ბევრია. მაგალითად, ახალგაზრდების მიგრაცია უცხო ქვეყნებში, უკეთესი ცხოვრების ძიების გამო (ხშირ შემთხვევაში ისინი საქართველოსთვის უკვე დაკარგულები არიან,რომელ ნამატზეა საუბარი). საქართველოში დარჩენილთა უმრავლესობა შიშობს, ვაი-თუ ვერ შეძლოს ოჯახის რჩენა მცირე ხელფასის ან უხელფასობის გამო, მრავალ სხვა მიზეზთა შორის ისიცაა, რომ ცოტა გავზარმაცდით, ჩვენს მიწებს უცხო ტომელები ამუშავებენ წარმატებით..ჩვენ კი... და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამშობლოს სიყვარულის ცნება აღარ არსებობს, არც ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ დალხინებული ცხოვრება, მაგრამ სამშობლოს 5-6-7 და მეტ შვილს უზრდიდნენ.. რაც შეეხება ვითარების გამოსწორებას, ზოგადად ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, ახალგაზრდების დასაქმება და მათთვის ღირსეული ანაზღაურების მიცემა, პატრიოტიზმის მეტი პროპაგანდა. ტელეეკრანებზე ხშირად უნდა ჩანდნენ მრავალშვილიანი, წარმატებული თუ გაჭირვებული დედები და არა უღირსი ქალბატონები. აი, ასეთი დედები გადაარჩენენ საქართველოს! ხელისუფლებამ კი ღირსეულად უნდა დააფასოს ისინი.

თეიმურაზ პოპიაშვილი, **გეოგრაფი, ეკოლოგი** – „ის, რომ ერი ბერდება, ეს მგონი შობადობის კლების შედეგია.. ხოლო შობადობის კლების ტენდენცია უკვე დიდი ხანია მთელს მსოფლიოში შეინიშნება (თუ არ ჩავთვლით შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებს), რაც, ჩემი აზრით, სრულიად ბუნებრივია და ისეთი ფაქტორები განაპირობებს, როგორიც არის ეკონომიკური კეთილდღეობა, უკეთესი ჯანდაცვა და განათლება, ქალთა უფლებები და სხვა. ჩვენ რომ ჩვენი გვაწუხებს, თორემ ამ მხრივ, საქართველოში განსაკუთრებული არაფერი ხდება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულხელდაკრეფილები ვისხდეთ და ველოდოთ, როდის გადავშენდებით.

რაც შეეხება ვითარების გამოსწორებას, შობადობის გაზრდისთვის ერთერთ მისაღებ გზად წახალისების მექანიზმების დანერგვა მიმაჩნია, რომელიც მრავალ ქვეყანაში ხორციელდება. გარდა ამისა, ძალზე საგანგაშოა უბედური შემთხვევების რიცხვი, რომელსაც უმეტესად ახალგაზრდები ეწირებიან, ეს კი პირდაპირ კავშირშია ე.წ. ერის დაბერებასთან..

მაია ყიფშიძე, **კულინარი** – უბრალოდ, ჩემი აზრით, ნორმალური აზროვნების ადამიანები ეკონომიკური პირობების გამო არ აჩენენ ბევრ შვილს და პირიქით, ძალიან გაჭირვებულები და ზოგჯერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი ინსტიქტების დონეზე იქცევიან და აჩენენ 8 და 10 შვილს, ჩემი აზრით, სახელმწიფომ ასეთები კი არ უნდა დააფინანსოს, უნდა აუკრძალოს შობადობა, რომ ერმა არაჯანსაღი განვითარება არ დაიწყოს და საერთოდ, არაა ქვეყანა ვალდებული, რომ ყველაფერი უზრუნველყოს, ყველამ თავის შვილზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და სხვის იმედად არ აჩინოს ბავშვები.

ეთო ათანელიშვილი, **ეკონომისტი** – აუცილებელად უნდა იყოს საყოველთაო დაზღვევა, ხელფასებზე უნდა იზრუნოს მთავრობამ და ხელი შეუწყოს გლეხს ყველანაირად. დღეს საქართველოში ცხოვრება ხშირად არის მომავლის იმედი და ენთუზიაზმი, თუმცა, მარტო სხვის დახმარებას არ უნდა ველოდოთ, ჩვენც უნდა მეტი ვიშრომოთ, მეტი ვიფიქროთ და გამოსავალი გზები ვეძიოთ“.

ძვირფასო მკითხველო, ჩვენ შევეცადეთ, ჩვენი მოსახლეობის აზრი თქვენთვის გაგვეზიარებინა, განსჯა კი თქვენთვის მოგვინდია. მე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, არ მიმაჩნია, რომ რადგან აზერბაიჯანელები ან რომელიმე ერი რიცხოვნობით გაგვისწრებს ცხოვრების რომელიმე ეტაპზე, ამის გამო ჩვენ დემოგრაფიული კრიზისი გვაქვს და მხოლოდ ერის რიცხოვნობის ზრდა არის გამოსავალი, მაშინ როდესაც ჯერ პირველ რიგში, ცხოვრების ხარისხი უნდა ამაღლდეს, ჩვენი შინაგანი კულტურა უნდა გაიზარდოს და რიცხოვნობის ნიშნულის მატება თავისთავად მოხდება.

მასალა მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

არ არსებობს იმაზე რთული პროფესია, ვიდრე ექთნობაა

„იყო მედიცინის მუშაკი არ ნიშნავს, რომ იცნობდე მარტო საკუთარ მეცნიერებას და იცოდე მკურნალობა, საჭიროა იცოდე ცხოვრებაზე ყველაფერი.”-
პონდოევი

დაახლოებით ერთი წლის წინ, ერთ-ერთი კლასის პედაგოგმა და მოსწავლეთა მშობლებმა საკმაოდ ფართომასშტაბიანი ექსკურსია დაგეგმეს. მარშრუტი დილით ადრე დედოფლისწყაროდან დაიძრა და ყვარლისაკენ გაუყვა გზას. გზაში ერთ-ერთი მოსწავლე შეუძლოდ გახდა, თავიდან უბრალო ფერის წასვლა გვეგონა, მოგვიანებით სერიოზულად შევშფოთდით, ემოციის თუ ტრანსპორტის აუტანლობის გამო, ბავშვი გონებას კარგავდა და ვერაფერს ვშველოდით, ზოგიერთი მშობელი პანიკამ მოიცვა. მხოლოდ ერთი მშობელი, რომელიც პროფესიით ეთქანი გახლდათ არ დაიბნა, სიმშვიდე შეინარჩუნა, ბავშვი ხელში აიყვანა და გვთხოვა, გამოვსულიყავით მისგან. 35 მშობლის თვალები ვედრებით შეჰყურებდა იმ ერთი ექთნის სახეს. ფაქტიურად ,მან იხსნა პატარა ადამიანის სიცოცხლე. ის რომ არა, შესაძლოა ეს ყველაფერი ცუდად დამთავრებულიყო. მედდას, რომელმაც ამხელა სულგრძელობა და სიმამაცე გამოიჩინა, ყველა მშობელი მადლობას სწორავდა და აქებდა, ის კი თავმდაბლად აცხადებდა,- არაფერი, ისეთი დიდი რა გავაკეთეო!

ეს ექთანი ერთ-ერთი საყვარელი მოწაფის ანანო ბიძინაშვილის მშობელი ნონა ბოჭორიშვილი გახლდათ. მაქვს პატივი, გაგაცნოთ ახალგაზრდა მედდა, პროფესიისადმი თავდადებული, შრომისმოყვარე, შესაშური შემართების მქონე, კარგი მოქალაქე და საუკეთესო დედა, გამორჩეული ადამიანი ქალბატონი ნონა ბოჭორიშვილი. ნონა 2005 წლიდან დედოფლისწყაროს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ექთანია, პატარა სიფრიფანა აღნაგობის გოგომ მოკლე ხანში შეძლო თავისი აქტიურობით, საქმისადმი გულისხმიერიდამოკიდებულებითდამაღალი თვითშეგნებით საზოგადოების გული მოეგო და მათი სიყვარული დაემსახურებინა. მისი პატარა გულის დიდგულოვნებაზე ბევრი სმენია ჩვენს საზოგადოებას. სწორედ ამიტომ ის ყველაზე გაბედულ და ყველაზე აქტიურმედდად დასახელდა ააიპ. „დედოფლისწყაროს ქალები“-ს მიერ. .

– უპირველესი სათქმელი, მაინც დაბადება და ბავშვობაა

– დავიბადე თელავში 1977 წლის 19 ნოემბერს. ვცხოვრობდით სოფელ დუშეთში, პირველი კლასი იქ დავამთავრე, შემდეგ მშობლები სამსახურებრივად დედოფლისწყაროში გადმოვიდნენ, კერძოდ შირაქის დასახლებაში ასე ვთქვათ, დიდი შირაქის N2 მეფრინველეობის მეურნეობაში მუშაობდნენ. სწორედ ამიტომ მეორე კლასიდან ზემო ქედის სკოლაში განვაგრძე საშუალო განათლების მიღება. 1994 წელს ჩავირიცხე თელავის სახელმწიფო სამედიცინო ტექნიკუმში, ვსწავლობდი უფასოზე, მქონდა სტიპენდია და ვიყავი საუკეთესო სტუდენტი. 1996 წელს, ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, მინდოდა სწავლის გაგრძელება, ერთი გამოცდით ვირიცხებოდი უმაღლესში, მაგრამ ჩემებს არ ჰქონდათ საშუალება, რომ მე უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში გამეგრძელებინა სწავლა.ამას ემთხვეოდა მხედრიონელების პარპაშის პერიოდი, არეული იყო ქვეყანაში ყველაფერი, ასეთი პატარა და სათნო სად გაგიშვათო, ამბობდნენ მშობლები და დავრჩი ასე ექთნად.

– ნონა, ვიცი, რომ უზომოდ მშრომელი მშობლები გყავს და ისინი კეთილშობილურ აღზრდასთან ერთად შრომასაც გაყვარებდნენ შვილებს. მოგვიყევი ბავშვობაზე და მათ შესახებ, რა გამოგატანეს მშობლემა საგზლად ბავშვობიდან?

– ჩემს მშობლებს სამი შვილი ვყავდით, მე და ჩემი ორი ძმა, მათ უნდოდათ, რომ სამივეს გვესწავლა და ისეთი წვალებით არ გვეცხოვრა, როგორც თვითონ იყვნენ შრომაში ჩარგულები. სულ გვთხოვდნენ, რომ სწავლა იყო უმთავრესი და აუცილებელი. ბიჭებმა არ ისწავლეს, მე მინდოდა სწავლა და რა შესაძლებლობაც მომეცა, არ გავუშვი შანსი ხელიდან.

– თუმცა, შენი აქტიურობით და ყველა შენი ღირსებით მოიპოვე კარგი მოქალაქის სახელი და გარშემომყოფების სიყვარული და ეს ყველა პროფესიაზე მაღლა დგას. მინდა გავიგო, რამ იქონია გავლენა, რომ შენ მედიცინით დაინტერესდი?

– ბავშვობაში სულ მინდოდა ექიმი ვყოფილიყავი, ვაკეთებდი ოპერაციებს, ბაყაყიც დამიჭერია, გამიჭრია და გამიკერია კიდეც. სულ ცდებს ვატარებდი, სულ ვიბრძოდი, რომ ნებისმიერი არსება გადამერჩინა. მედიცინის მუშაკობა ისე მქონდა გათავისებული, რომ თავიდანვე ვიცოდი, რა მინდოდა. ეს ბავშვობის დიდი სურვილი იყო.

– სამსახური და ყოველდღიურობა, რას ნიშნავს, იყო მოსამსახურე ქალი და ამასთან თავი გაართვა ოჯახს, შვილებს?

– 2005 წელ დავიწყე სასწრაფო სამედიცინო სამსახურში მუშაობა, ვიყავი ორსულად და თავდაპირველად ვმუშაობდი ოპერატორად, მერე გადავედი ექთნად. მას შემდეგ ყოველ დილით მოვდივარ მეორე დილამდე და სასწრაფოზე ვათენებ. გადარბენაზე ვარ, ღამენათევი მოვდივარ მეორე სამსახურში. იგივე საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში, სადაც რეგიონალური ჯანდაცვის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტად ვმუშაობ, ვამოწმებ ისტორიებს, შემდეგ ამ ზღვა მასალას ვტვირთავ კომპიუტერში და ვაგზავნი სათაო ოფისში, ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა, უზომოდ ვიღლები, ხშირად დილიდან 6-7 და ხშირად 8 საათამდეც ვმუშაობ, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. უგულოდ მუშაობას, მირჩევია, სულ არ ვიმუშავო. მიუხედავად იმისა,რომ ვიღლები, სახლში დაბრუნებისას ოჯახში ბავშვებს ვეხმარები მეცადინეობაში, ვიბარებ გაკვეთილებს, ვაკეთებ უამრავ საქმეს. დილით 5 საათზე ან 6-ის ნახევარზე ვდგები, რომ გავაკეთო საქმე და ბავშვებსაც ვუმზადებ ყველაფერს, შემდეგ მათ ვაგზავნი სკოლაში. მე ამ შემთხვევაში ძალიან მეხმარება და გვერდში მიდგას დედამთილი, ქ-ნი ოლია, რომელიც ახალგაზრდულად გამოიყურება და სახლის საქმეს, და რა მარტო მას, ის აკეთებს. ის რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდა. საუკეთესო დედა, ბებია და დადამთილია. მუდმივად იმედიანად ვარ, რომ შვილები სახლში დაბრუნებისას მარტო არ იქნებიან. ის მათ ხვდებათ სახლში, აპურებთ, უვლის, ამეცადინებს და ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, ამისთვის და ამხელა თანადგომისთვის მადლობა მინდა მოვუხადო ჩემი მეუღლის დედას.

– ნონა, შენი აზრი მაინტერესებს, რა უნდა გააკეთოს დედამ იმისთვის, რომ შვილები ჩამოყალიბდნენ კარგ და წარმატებულ ადამიანებად?

– შვილებს მუდმივად ვეუბნები, რომ თქვენ არავინ არაფერს არ გთხოვთ, არაფერი არ გევალებათ, გარდა ერთისა, - კარგად ისწავლოთ. ვეუბნები, რომ ჩვენ უბრალო ოჯახი ვართ, ისეთი „დიდი კაცი“ არავინ გვყავს, ყველაფერს თქვენი შრომით და სწავლით უნდა მიაღწიოთ. ხშირად ვუყვები მაგალითებს, ვაჟა- ფშაველა მთაში ცხოვრობდა, უბრალო გლეხი იყო, მაგრამ ნახეთ, რამხელა პიროვნება შედგა-მეთქი. ამიტომ შემართებით არიან, რომ მიზნად დაისახონ სწავლა, რათა მათ ჰქონდეთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში და არ იწვალონ ცხოვრებაში. ჯერ-ჯერობით, დავითიც და ანანოც წარმატებით ართმევენ სწავლას თავს. ორივე ძალიან მონდომებულია. მჯერა, არ შემარცხვენენ და კარგი მოქალაქეები დადგებიან.

– ყველაზე მძიმე შემთხვევა შენი მუშაობის პრაქტიკაში.

– გამოვყოფდი საგზაო ავარიებს. მახსენდება 7 თვის ორსული ვიყავი, დედოფლისწყაროს ცენტრში მოხდა ავარია, გამოგვიძახეს, მივედით და ჩვენი მანქანა არ გაჩერებულიყო, რომ ორსული გოგო ვხტებოდი მანქანიდან, რათა ჩქარა მეშველა, არადა ავარიულ მანქანას ცეცხლი ეკიდა. ექიმი მეუბნებოდა, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, ორსული თავს აღარ უფრთხილდებიო?! რამე რომ დაგემართოს, მერე რას ფიქრობო?! მაგრამ იმ წუთას მე ჩემს თავზე არ ვფიქრობდი, ადამიანები, რომლებიც ცეცხლმოკიდებულ მანქანაში ისხდნენ, მხოლოდ მათთან იყო ჩემი ფიქრები. ბოლოს გამოვიყვანეთ ის ადამიანები და გადავარჩინეთ. კიდევ სამხედროების ავარიას გავიხსენებ, რომელიც დედოფლისწყარო-თბილისის გზაზე მოხდა. გამოძახებაზე ჩვენ ვიყავით, რომ მივედით, თავი ომში მეგონა, ისე ეყარნენ, ყველა გვამი გეგონებოდა... არ დავბნეულვარ, მაშინვე ყველას სისხლი მოვწმინდე, 36 გადარჩა, ერთი დაიღუპა. ფსიქოლოგიურად ურთულესი ასატანია ეს ყველაფერი, მერე გვიანობამდე მომხდარი ფაქტები არ გამოდის გონებიდან, მძიმედ გროვდება მეხსიერებაში, სულ მათზე ვფიქრობ, რადგან ფაქტებს პირველი ხედავ და უყურებ, მაგრამ მე ხომ ძლიერი ვარ და უნდა ვიყო!

– მსმენია შენს შესახებ, რომ მოქალაქის რანგშიც ხარ მედდის მოწოდების სიმაღლეზე, არასამუშაო ფორმაშიც, ყველა ავარიასთან ჩერდები, ჩადიხარ და ეხმარები. მგონია, რომ ამას იშვიათები აკეთებენ, ძალიან დიდი გული უნდა გქონდეს, რომ ეს გააკეთო და ემოციურადაც აიტანო.

– კი, ჩავდივარ, ყოველთვის და ვშველი, რამდენიმე ხნის წინ შევესწარი ავტოსაგზაო შემთხვევას. ორი ბავშვი და ქალი იყო მძიმედ...არ შემეძლო ისე გამევლო, მეუღლეს მანქანა გავაჩერებინე და არ წამოვედი მანამ, სანამ სასწრაფო დახმარება არ მოვიდა, დავეხმარე სასწრაფოს, სისტემა მე თვითონ დავადგი და სანამ სასწრაფო არ გავაცილეთ არ წამოვედით. არ არსებობს მომენტი, რომ მე ავარიის შემთხვევაზე არ გავჩერდე და თუ ჩემი საჭიროებაა, არ დავეხმარო.

– ყველაზე პოზიტიური დღე შენს ცხოვრებაში.

– ეხლა ასე უცებ, ვერ ვიხსენებ.

– ბრძნული გამონათქვამია „აუცილებელია ისე წარმართო საქმე, რომ ექიმს, მედიცინის მუშაკს შეეძლოს იოლად გადაიტანოს თავის პროფესიის ყველა უხერხულობა“, რას ითხოვთ თქვენ მედიცინის მუშაკები პაციენტებისგან?

– ვითხოვთ კარგ დამოკიდებულებას, ძალიან ცუდად არიან განწყობილები, მისვლისთანავე ჩხუბობენ, სად ხართ, რატომ იგვიანებთ, აგრესია მოდის მათგან, დაძაბულია ხალხი. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს უსამართლო და დაუმსახურებელი სიტყვებია ჩვენდამი...მინდა, რომ უფრო დადებითად მოეკიდნენ ჩვენს მიმართ დამოკიდებულებას, რადგან არ არსებობს ამაზე რთული პროფესია, ვიდრე მედიცინის მუშაკობაა. გაითვალისწინონ, რომ სასწრაფოზე, 24 საათანი მუშაობა ძალიან რთულია. მით უმეტეს ხშირად გვაქვს კონფლიქტები, ძალადობები, ავარიები, რთულია ეს ყველაფერი საყვედურების რეჟიმში გადაიტანო.

– ოჯახური კონფლიქტების დროს, მაგალითად, დანა უჭირავს მოძალადეს ან რაიმე ასეთი და აფექტურ მდგომარეობაშია მოძალადე, მაგ დროს როგორ იქცევით? არ გეშინიათ?

– არა, პირიქით, მივდივართ. არის აგრესია და გამოწვევები, ყოფილა შემთხვევები, რომ მანქანაში ძლივს ჩავმსხვდარვართ, ცემაზე გადმოდიან ხოლმე ხშირად ჩვენზეც. იყო რამოდენიმე ასეთი შემთხვევა, მაგრამ მაინც შეძლებისდაგვარად ვახერხებთ, რომ დავეხმაროთ.

– რას აფასებ ადამიანში?

– არ მიყვარს მატყუარა ადამიანი, ჩემთან ჩემი რომაა და შენთან-შენი. სიკეთე ძალიან დადებითი და გადამდებია ჩემთვის და მინდა ყველა ადამიანი სიკეთით იყოს შეიარაღებული, ვიდრე ბოღმით და ბოროტებით.

– როგორც დედა, რას ფიქრობ, როგორ ქვეყანაში იზრდებიან თქვენი შვილები და როგორ ქვეყანაში ისურვებდი ეცხოვროთ მათ, უფრო ზუსტად, რას უსურვებდი მათ თაობას?

– მეამაყება რომ ვარ ქართველი, მიხარია, ჩვენი შვილები რომ დაიბადნენ საქართველოში, მაგრამ მინდა ჰქონდეთ უზრუნველყოფილი ცხოვრება, არა ომი, არა დაძაბული სიტუაციები და ეკონომიური კრიზისი ქვეყანაში. იყოს სიმშვიდე და კარგი მომავალი.

– შენი აზრით, ჩვენი ქვეყანა მივა ევროპულ სტანდარტებამდე, რომ ჩვენ, მოსამსახურე ადამიანებს, რომლებიც ახალგაზრდობის წლებს სახელმწიფო სამსახურში მუშაობაში ვატარებთ, გვქონდეს ისეთი პენსია, როგორიც ევროპაში ევროპელებს აქვთ?

– ამ გადმოსახედიდან ვერ ვხედავ მაგის პერსპექტივას, მაგრამ, იმედი მინდა დავიტოვო, 20 წლის შემდეგ მაინც ჩვენი შვილები მოესწრებიან ამას.

ლალი მეხრიშვილი

ჯანსაღი ცხოვრების წესი, თუ მავნე ჩვევები?!

ჯანსაღი ცხოვრების წესი პოპულარობას არ კარგავს, მიუხედავად იმისა, რომ მოზარდები ძირითადად მავნე ჩვევებისადმი არიან მიდრეკილნი, სპორტს მაინც ბევრი ახალგაზრდა მისდევს.ამ მხრივ დედოფლისწყაროშიც საკმაოდ განვითარებულია სხვადასხვა სპორტული სახეობები და მიღწეული წარმატებებით სხვა რეგიონებსა თუ დედაქალაქს არათუ ჩამოუვარდებიან, არამედ, ხშირ შემთხვევაში ლიდერობენ კიდეც.

ამ ფონზე გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რამდენად პოპულარულია ჯანსაღი ცხოვრების წესი დედოფლისწყაროში და რა უპირატესობა აქვს სპორტულ აქტივობას. რაზე უწევთ უარის თქმა სპორტსმენებს და რა მსხვერპლს მოითხოვს ჯანსაღი სხეული. რატომ ითვლება მოწევა მოზარდებში კარგ ტონად და რამ გამოიწვია მცდარი შეხედულებების დამკვიდრება. ამ კითხვებით დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს მივმართეთ.

ლაშა გოდაველი **(მოჭიდავე):**



„ჩემთვის სპორტული ცხოვრება ადრეული ასაკიდან დაიწყო, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბავშვი ვიყავი, რომ მამაჩემს ვთხოვდი ჭიდაობაზე მივეყვანე. ჩემთვის ეს სპორტი აღმოჩნდა ერთერთი მიზანი ცხოვრებაში. 13 წელია ვვარჯიშობ, ბევრჯერ მომიტანია ჩემი რაიონისთვის გამარჯვება. იმისათვის, რომ რაიმე წარმატებებისთვის მიმეღწია, დიდი ძალისხმევა დამჭირდა და ბევრი ვიწვალე. რა თქმა უნდა, სპორტის ყველა სახეობა კარგია, ვინც სისტემატიურად ვარჯიშობს, ყველა ადამიანი შეინარჩუნებს ჯანმრთელობას. მერწმუნეთ, ჯანსაღი ცხოვრების წესი უალტერნატივოა. როდესაც წლების მანძილზე ვარჯიშობ, ისე ეჩვევი, რომ სხვა აღარაფერია პრიორიტეტული, ყველაფერი მეორე პლანზე გადადის და ნაკლებად აქცევ ყურადღებას. რაც მეტს ვარჯიშობ, მით უფრო მეტი გინდა. თავდაჯერებულობა და საკუთარი თავის რწმენა გემატება. სულ უფრო მეტს ფიქრობ, რომ რასაც აკეთებ და როგორც ცხოვრობ, გამართლებულია. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ აღარ გვრჩება გართობისა და მეგობრების დრო, უმეტეს შემთხვევაში ასეა და ხშირად გვიწევს გარკვეულ რაღაცეებზე უარის თქმა. ვარჯიში ერთი დღეც რომ გააცდინო, კალაპოტიდან ამოვარდები და რეჟიმს დაარღვევ, მერე უკვე ხედავ, რომ ერთი ნაბიჯით უკან დარჩი. ჩემში იმდენად დიდია ჯანსაღი ცხოვრების სიყვარული, რომ თვეების მანძილზე ალკოჰოლი არც გამხსენებია. ზოგადად, დალევა არ მიყვარს, მეგობრებთან სუფრაზე მივდივარ, მაგრამ არ ვსვამ, ზოგჯერ არც მივდივარ. მავნე ჩვევებს რაც შეეხება, სიგარეტს არ ვეწევი, არც გამისინჯავს. მიმაჩნია, რომ მოწევაში „საბლატაო“ არაფერია, ვფიქრობ, „სამარიაჟო“ ის უფრო არის, როდესაც ჯანმრთელი ხარ, ფორმაში ხარ და როცა საუკეთესო ფიგურა გაქვს. ასე რომ, მოზარდებს ვურჩევდი, არ გაეკარონ სიგარეტს, დაკავდნენ ნებისმიერი სპორტით და მოწევის ნაცვლად გოგონებთან და უფროსებთან კუნთები „ამარიაჟონ“. ძალიან დიდი პლიუსია, როცა ძლიერი და ჯანმრთელი ხარ, შედეგს ისინი მალე იგრძნობენ“.**

დათო პოპიაშვილი (სოფელ გამარჯვების სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი): „14 წლიდან ჯანსაღ ცხოვრებას ვეწევი, მაგრამ რასაც ინტენსიური ვარჯიში ჰქვია, 18 წლიდან დავიწყე.. ჩემს სოფელში ყოველთვის იყო დარბაზი და არც თუ ისე ბევრი ინვენტარი ქონდათ, მაგრამ პატარა რომ ვიყავი, მახსოვს ყველა ვარჯიშობდა, მეც ამიტომ გამიჩნდა სურვილი ვარჯიში დამეწყო. პირველ რიგში ვარჯიში ჯანმრთელობისთვისაა კარგი და აუცილებელი, შემდეგ სიძლიერისთვის. თავის დაცვა შეგიძლია და არა მარტო თავის დაცვა, ასევე ლამაზი ფიგურა, რაც ბევრ სიტუაციაში სასიამოვნო სანახავია და ბევრს სურვილი უჩნდება მოგბაძოს. თუ ვარჯიშობ უკვე მეორე გული გაქვს... კვირაში 5 დღე მაინც ვვარჯიშობ, ერთგვარი ლომკაა... ჯანსაღი ცხოვრების წესი ადამიანს აძლევს ლამაზ ფიგურას, ძლიერ სულს. ახალგაზრდებს ვურჩევდი, არც კი გასინჯონ სიგარეტი და ნარკოტიკული საშუალებები. ვისაც უკვე გასინჯული აქვს დაძლიონ და დაიწყონ ვარჯიში ამაზე დიდი ე.წ. „მულამი“ არ არსებობს.. დღეში ერთი საათი მაინც უნდა გამოყო შენი ჯანმრთელობისთვის და ივარჯიშო.. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სიგარეტის მოწევა მაგარი ბიჭობა არაა და თუ ძმაკაცი ეწევა, არ ნიშნავს, რომ კარგია და მას მიბაძო.. პირიქით, უნდა ურჩიო შენთან ერთად ივარჯიშოს და მალე მიხვდება, როგორ შეიცვლება მისი თითოეული დღე. სიგარეტი არ მომიწევია, თუმცა ძალიან ადრე გასინჯული მაქვს და მივხვდი რომ ის არაა, რაც მე მჭირდება. რაც შეეხება ალკოჰოლს, კარგ სიტუაციებში და საყვარელ ხალხთან ერთად, ზომიერად დალევა მისაღებია, ოღონდ იშვიათად“.**

მავნე ჩვევების კუთხით გენდერული მაჩვენებელი გათანაბრდა. თუ აქამდე საქართველოში სიგარეტს, ალკოჰოლს და ნარკოტიკულ საშუალებებს 4 ჯერ მეტი მამაკაცი მოიხმარდა, ვიდრე ქალი, ახლა ირკვევა, რომ მაჩვენებელი დაბალანსდა და მათი რიცხვი თითქმის თანაბარია. დიდი ხანია საუბრობენ იმაზეც, რომ თამბაქოს მომხმარებელთა რიცხვი საგანგაშოდ გაახალგაზრდავებულია.

ბესო ყოჩიაშვილი **(შტანგისტი):**

„14 წლის ვიყავი, როცა დავიწყე ვარჯიში. მინდოდა ყველასგან განსხვავებული ვყოფილიყავი და ეს გამომივიდა, რითაც ძალიან ვამაყობ. ვარჯიშმა ტიტულები და სახელი მომაპოვებინა, რითაც მალე მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. ზოგადად, ჩემი ფიზიკური შესაძლებლობების გავლენა იყო, სპორტს რომ გავყევი,პატარაობიდან ყველაფერი მეხერხებოდა. ჯანსაღი ცხოვრება ეს არის ის, რაც ყველას სჭირდება. ის მინარჩუნებს ცხოვრების მნიშვნელოვან წუთებს. ვარჯიში ჩემი ცხოვრების მთავარი მიმართულებაა.კვირაში 4 დღეა ვარჯიშისაჭირო, რომ საკუთარი თავიაკონტროლო და ფორმაში იყო. ვერ გეტყვით გავლენა რამ მოახდინა, მაგრამ ბავშვობიდან მომწონდა ფიზიკური ვარჯიში. ჩემი იდეალი იყო, რომ ვყოფილიყავი ყველასგან განსხვავებული და მე ეს შევძელი. მერწმუნეთ, ამაში გაცილებით დიდი ადრენალინი და სიამოვნებაა, ვიდრე მავნე ჩვევებში. მიჭირს ავხსნა, დღევანდელ რეალობაში რატომაა მოზარდებში პოპულარული მავნე ჩვევები, რთული საკითხია. ჯანსაღი ცხოვრება და მათ შორის კვება განაპირობებს დიდხანს სიცოცხლეს.ამიტომ, ვცდილობ თავი შევიკავო ზედმეტი დალევისგან. ჩემსგან შორსაასიგარეტიც, ცხადია, არანაირი შეხება არ მაქვს. გამისინჯავს, მაგრამ მწეველი არ ვარ, ზოგადად ვერვიტან. არასოდეს მდომებია მწეველი ვყოფილიყავი. გოგო რომ ეწევა, ეს ჩემთვის მიუღებელია, რადგან არაჯანსაღი ცხოვრება, მითუმეტეს ქალს, არ შვენის. ჩემს სოფელში და რაიონში ხელშეწყობა და შესაბამისი გარემო ნაკლებია, რომ სათანადოდ ივარჯიშო და არც ენთუზიაზმი დაკარგო. მაგრამ ეს ადამიანის სიძლიერეზე და მონდომებაზეა დამოკიდებული, სადამდე აიტანს. იოლი ჩემთვის არაფერია, უბრალოდ შეგუება მიწევს.“**

გიორგი წიკლაური **(მოკრივე):**

„ბავშვობიდან ვიყავი სპორტით დაინტერესებული. სხვადასხვა სახეობებში მივარჯიშია, მაგრამ მანამდე უკმაყოფილების განცდა მქონდა, სანამ კიკბოქსინგზე არ მივედი. შემდეგ„ლომკები“ დამეწყო. თუმცა, რამოდენიმე თვეში თავის დანებება მომიხდა. ექვსი წლის შემდეგ, უკვე 19 წლის ასაკში აქტიური მომზადება დავიწყე. რაც შეეხება ჯანსაღ ცხოვრებას, მგონია, რომ ეს ყველასთვის სასურველი მდგომარეობაა, მაგრამ რატომღაც ყველა ვერ ახერხებს. ალბათ იმ მიზეზებით, რომ მათში სხვა ენერგია უფრო მიმზიდველია, ვიდრე სპორტი ან ჯანსაღი ცხოვრება. ჯანსაღი ცხოვრება არ ნიშნავს მხოლოდ სპორტსმენობას, შეგიძლია სწორი რეჟიმითაც მიაღწიო შედეგს. ეს მდგომარეობადიდ გავლენას ახდენს ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად. სპორტი ადამიანის ცხოვრებას უფრო ხარისხიანს და ეფექტურს ხდის. როცა მოზარდები მოწევით ამაყობენ, ჩამორჩენილი და გაუაზრებელი მენტალობის ბრალია. ზოგადად უამრავი კომპლექსის მატარებელი ერი ვართ და ზოგჯერ, მითუმეტეს პატარა ასაკში, ისეთ რამეს ვაკეთებთ, რაც არ მოგვწონს, ანგვძულს კიდეც. მაგრამ ვერ ვიაზრებთ.ახალი თაობის მეგობარი ვარ. მოზარდები გამოირჩევიან ინდივიდუალური გადაწყვეტილებებით და ადრინდელთან შედარებით ჩაკეტილი აზროვნება არ აქვთ. ცდუნება დიდია, მიზეზიც ბევრია. ალბათ, იმდენად დიდი არ არის ტკივილი მომავლის, ვიდრე სურვილი ამ წუთიერი კმაყოფილების. ახალგაზრდებმა კარგად იციან, რომ რასაც აკეთებენ ცუდია, მაგრამ მაინც დგამენ ასეთ ნაბიჯებს. მათ მოვუწოდებდი, რომ ბევრი იშრომონ. მომწონს, როცა ჯანსაღ ცხოვრებას ირჩევენ.როცა ვარჯიშობ და სწორად იკვებები, მზად ხარ ცხოვრების ნებისმიერ გამოწვევას წინ მგელივით დაუდგე და იმედგაცრუებით არ გაატარო პირველივე წარუმატებლობა. ცხოვრებაში ყოფილა ჩავარდნები, სიგარეტიმეც გამიბოლებია მეგობრებთა ერთად, მაგრამ დღეს სხვანაირად ვფიქრობ და არაფერს შევცვლიდი ჩემს ცხოვრებაში“.**

ვასო გოგილაშვილი **(მოჭიდავე):**

„10 წლის ასაკიდან ვვარჯიშობ და ჯანსაღ ცხოვრებას მივდევ. ძალიან პატარაობიდან გამიჩნდა სურვილი ჭიდაობაზე მივსულიყავი. გავლენა გარკვეულმა გარემომ მოახდინა, სადაც ვიზრდებოდი. ჩემი ნათესავები დადიოდნენ და მინდოდა,მეც მათან ერთად მევლო. ვარჯიში რატქმაუნდა ბევრ რამეს გმატებს და ბევრი უპირატესობა აქვს. ყველაზე მთავარი რასაც გამოვყოფდი, ესაა ჯანმრთელობა. ყველას ვურჩევდი ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრონ, რადგან ამ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი მაინც ჯანმრთელობაა და ამ გზით შეინარჩუნებენ. ჯერ სერიოზული სპორტული მიღწევები არ მაქვს, ვერ ვახერხებ შეჯიბრებებზე ხშირად მონაწილეობას. მაგრამ, სამაგიეროდ, ჯანმრთელობას ვინარჩუნებ და ფიგურა დავიყენე. არასოდეს მდომებია სიგარეტი, ან ჭარბი ალკოჰოლის მიღება. მიმაჩნია, რომ მოწევაში საამაყო, ან „სამარიაჟო“ არაფერია, უფრო პირიქით. ჩემს თვალში მანდილოსანსარ შეეფერება, როცა სიგარეტს ეწევა, მითუმეტეს გარეთ, სხვების დასანახად. როცა ჩემი მეგობრები სვამენ, ვცდილობ თავი შევიკავო. რატომღაც არ მიზიდავს“.**

ლევან ზვიადაური **(მოკრივე):**

„კვირაში 6 დღეს ვვარჯიშობ და სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია. ამ რეჟიმში ვარ ხუთი წლის ასაკიდან. ჩემზე გავლენა მამაჩემის ნათლულმა მოახდინა. პატარაობიდანვე მიმაჩვიეს ვარჯიშს და ალბათ ამიტომ შემიყვარდა ჩემი რეჟიმი. მაქსიმალურად მივდევ ჯანსაღი ცხოვრების წესს, არ ვსვამ და არ ვეწევი. ერთხელგავსინჯე, როგორც ხდება ხოლმე, მეც დიდმა ბიჭებმა დამაძალეს. მაშინ პატარა ვიყავი და მას შემდეგ მეზიზღება. ზოგადად მარიაჟობა კარგი არ არის, მითუმეტეს მოწევაში საამაყო რა უნდა იყოს. მაგრამ კუნთებით და ჯანსაღი სხეულით უკეთესად იამაყებ. როცა საუკეთესო ფორმაში ხარ, ასეთ დროს ყოველთვის ყურადღების ცენტრში ხარ, ყველას მოსწონს ჯანიანი და კუნთებიანი ბიჭები. ფორმაში ყოფნა კი სპეციალურ რეჟიმს, დიდ შრომას და გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს. უარის თქმა ალკოჰოლზეც მიწევს. მხოლოდ ლუდს ვსვამ და ისიც ერთ ბაკალს, მეტს არა. ისიც ძალიან იშვიათად და განსაკუთრებულ მომენტებში. არ მესმის, რატომ ამაყობენ ახალგაზრდები მავნე ჩვევებით. ჩემს მეგობრებსაც მოწევას ხშირად ვუშლი ხოლმე. ამას ჭკუის სწავლების ხასიათი არ აქვს, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ როცა ერთად ვართ ისინიც დავარწმუნო, რომ სიგარეტი და თამბაქოს კვამლი საზიანოა როგორც მათი, ისე გარშემომყოფების ჯანმრთელობისთვის“.**

ილია მარტყოფლიშვილი

შირაქის სკივრი

1969 WLIS SEQTEMBERI

0 QEDEBIS ZONASI AQTIURAD CAEBNEN LENINIS DABADEBIS 100 WLISTAVIS DA SAQARTVELOS GASABWOEBIS 50 WLIS TAVISATVIS GACAREBUL SAYOVELTAO SEJIBREBEBSI, MAGRAM IMIS MAGIVRAD, ROM AMXANAGEBIS MUSAOBIS NAYOFIEREBIS GAZRDAZE IZRUNON, ZOGIERTI ORGANIZACIIS MESVEURNI MTELI SERIOZULOBIT AR GRZNOBEN DAKISREBUL PASUXISMGEBLOBAS. WITELWYAROS GAZIFIKACIIS MUSAKEBS ALBAT ARA SURT ICODNEN, TAVIAANTI MOUQNELI MUSAOBIT ROGOR ARIZIANEBEN ABONENTEBS. ZEMO QEDIS KOLMEURNEOBAM SPECIALURI OTAXI GAMOYO GAZIS BALONEBIS SAWYOBISTVIS, RATA ADVILAD XELMISAWVDOMI YOFILIYO TXEVADI GAZIT SARGEBLOBA. ERTXANS BALONEBI KARGAD MODIODA, MAGRAM ES SAWYOBI CVENTVIS RA XELMOSACEMIAO, IFIQRES GAZIFIKACIIS MUSAKEBMA DA SAWYOBIS ARAREGULARULAD MOMARAGEBA DAIWYES. ITMINES QEDELEBMA, ITMINES DA, ROCA METIS MOTMENA ARAR SEIZLEBODA, SAMARTLIANI SAYVEDURI XMAMARLA GAMOSTQVES GAZIS KANTORIS MIMART. ES ROGOR GAGVIBEDESO, AXLA NAXET SEIRIO DA SAWYOBI SUL GA AUQMES. BALONEBS AVTODAMTARIT MOGAWODEBT DA METI RARA GINDATO. CUMAD XITXITEBDNEN, AXLA NAXET ROGOR UNDA SAYVEDUREBIO. AM DRIDAN DAIWYES QEDELEBIS XANGRZLIVI WAMEBA, ELODNEN DA ELODNEN GAZIS BALONEBS. ZOGMA ISEV NAVTQURA MOZEBNA, ZOGMA ZEDADGARI, ZOGIC AXLAC KI ELODEBA: `GAZIS BALONI XOM AR MOUTANIATO?~

CVENI QVEYNIS YVELA SKOLIS PIRVELI KLASEBI 1 SEQTEMBRIDAN GADADIAN AXAL PROGRAMEBZE, ROMLEBIC GATVALISWINEBULIA SAMWLIANI SWAVLEBISTVIS. MEOTXE KLASIDAN SWAVLEBA DAIWYEBA SASUALO SKOLIS PROGRAMEBIT.

SOFEL JAFARIZESI DIDI SARAMOSEIRNOBA GAIMARTA, ROMELIC MIEZRVNA DIDI BELADIS VLADIMER LENINIS DABADEBIS 100 WLISTAVS. SEIRNOBASI RAIONIS SXVA SOFLEBIDANAC MONAWILEOBDNEN DA MISI ORGANIZATORI JAFARIZIS KULTSAXLI IYO. KMAYOFILEBI DARCNEN ROGORC ADGILOBRIVI AXALGAZRDEBI, ISE MOWVEULI STUMREBI. PROJEQTOREBIT GACAXCAXEBUL KULTURIS SAXLIS EZOSI AXALGAZRDEBI GVIANOBAMDE JRIAMULOBDNEN.

WITELWYAROS STADIONZE CNOBILI QARTVELI VARSKVLAVEBI CAMOVIDNEN. KOTE MARJANISVILIS SAXELOBIS SAXELMWIFO TEATRIS DASMA DIDI SARAMO-KONCERTI GAMARTA. CVENS RAIONS STUMROBDNEN SABWOTA KAVSIRIS SAXALXO ARTISTEBI: VERIKO ANJAFARIZE DA VASO GOZIASVILI. RESPUBLIKIS DAMSAXUREBULI ARTISTEBI: ELENE YIFSIZE, TATIANA MAXARAZE, EDISER MIRIANASVILI DA LADO CXVARIASVILI.

WITELWYAROS RAIKOMSI `INFORMACIIS DRE~ ARNISNES. RAIKOMSI XAZGASMIT ITQVA, ROM ASETI DREEBI YOVELTVIURAD CATARDEBA, RATA RAIONIS XELMZRVANEL DA PARTIUL MUSAKEBSATU SAMEURNEO KADREBS SISTEMATIURAD HQONDET KOMUNISTURI PARTIISA DA SABWOTA MTAVROBIS AQTUALURI TEMEBIS SESAXEB CNOBEBI. KREBAM MOISMINA WITELWYAROS PROKURORIS, A. FIROSMANASVILIS SAINFORMACIO MOXSENEBA RAIONSI SOCIALISTURI KANONIEREBIS DACVISA DA DANASAULEBATA WINAARMDEG BRZOLIS GAZLIEREBIS RONISZIEBATA SESAXEB. RAIKOMIS PIRVELMA DA MEORE MDIVNEBMA WARMOADGINES INFORMACIA SASOFLO SAMEURNEO GEGMEBIS SESRULEBIS TAOBAZE.

1977 WLIS SEQTEMBERI

WITELWYAROSI GAMOYOFILIA 22 MSUBUQI AVTOMOBILI DA 5 KOMPLEQTI AVEJI, ROMELIC RIGGARESE MIEYIDEBA MAT, VINC YVELAZE MET YURZENS CAABAREBEN SAXELMWIFOS DA TAVS GAMOICENEN RAIONIS MIER NAKISRI 22 ATASI TONA YURZNIS DAMZADEBIS VALDEBULEBIS SESRULEBIS SAQMESI. AMJAMAD MOKREFILIA 15 352 TONA YURZENI.

WITELWYAROS ELEQTROQVESADGURI RAIONIS CENTRISGAN SAKMAOD DACILEBULIA, UKVE ORI TVEA VER ARADGINES KAVSIRI QALAQ WITELWYAROSTAN, ARADA MSVENIVRAD AQVT KONTAQTI GURJAANTAN, TBILISTAN, SAMTAWYAROSTAN, QEDTAN, ELDARTAN DA MARAROSTAN. NUTU SEUZLEBELIA WITELWYAROSIC ARADGINON? KAVSIRI AUCILEBELIA, IMITOM, ROM TITO KACI MORIGEOBS, MORIGE AVAD ROM GAXDES UYURADREBOD RCEBA. AUCILEBELIA OSTATISA DA QVESADGURIS UFROSIS BINEBZEC IYOS TELEFONI. VISAC ES EXEBA, SASWRAFOD UNDA UZRUNVELYOS.

WITELWYAROS SATYEO MEURNEOBAM DIDI RONISZIEBEBI GAATARA KOLMEURNEOBEBIS CAMORECXIL FARTOBEBIS GATYEVEBISTVIS. USARGEBLO, MOUSAVLIAN ADGILEBSI TYIS KULTUREBI GASENEBULIA 120 HEQTARZE, AQEDAN WELS GAZAFXULZE GAVASENET 50 HA. WARSULWLEBTAN SEDAREBIT SAGRZNOBLAD SEMCIRDA UNEBARTVO WREBI. TYIS DACVIS SAQMESI TAVI GAMOICINES TYIS MCVELEBMA: D. PAPUASVILMA, I. BEGIASVILMA, B. TOKLIKISVILMA, I. GARSEVANISVILMA, S. PAPIASVILMA, O. SUARISVILMA DA SXVEBMA. DIADI OQTOMBRIS SAIUBILEO WLIS GANMAVLOBASI UNDA GAVASENOT TYIS KULTUREBI 80 HEQTARZE, MOVLA-KULTIVACIA UNDA CATARDES 893 HEQTARZE, MECXERIANOBA UNDA SEIVSOS 80 HA-ZE, SANERGE GASENDES 3 HEQTARZE, MINDORSACAVI ZOLI 5 HEQTARZE.83 HA UNDA MOVAMZADOT MOMAVALI WLISTVIS, DAVAMZADOT 544 KG TYIS KULTURIS TESLEBI DA GAVZARDOT ERTI MILIONI CALI SARGAVI MASALA.

WITELWYAROS ADGILMREWVELOBIS KOMBINATIS SAMKERVALO SAAMQROS MUSAKEBMA KOLEQTIURAD GANIXILES AXALI KONSTITUCIIS PROEQTI. ERTSULOVNAD MOIWONES IGI DA AM DIDI QARTIIS SAPASUXOD GADAWYVITES, MARALI MACVENEBLEBIT DAAMTAVRON WLEVANDELI SAIUBILEO WELI, RISTVISAC GADIDEBULI VALDEBULEBEBI AIRES. SURATZE: SAAMQROS UFROSI V. ROBITASVILI ESAUBREBA TANAMSROMLEBS KONSTITUCIIS AXAL PROEQTZE DA MIS UDIDES MNISVNELOBAZE.

1985 WLIS SEQTEMBERI

QALAQ WITELWYAROSI BEVR ADGILAS UTENIA GARET ROM GAMOXVAL, NAGVIS GOREBI DAGXVDEBA. VIDRE-NAGVIS MANQANA CAMOIVLIS, YOVELGVARI NARCENI PIRDAPIR GZAZE YRIA. ASEVE, QALAQIS BEVR MOSAXLES SAMSENEBLO MASALA EZOSI AR SEAQVS, FICXS, AGURS TU ATASGVAR MASALAS GZAZE ALAGEBS DA XERGAVS GASAVLELS, AFERXEBS DA ABRKOLEBS FEXIT MOSIARULEEBS. QVEITAD MOSIARULEEBI KI IZULEBULNI XDEBIAN MANQANIS SAVAL NAWILZE GADAVIDNEN DA IQ SICOCXLE SAFRTXESI CAIGDON. ERTIC TVALSISACEMIA: ZOGS TU TROTUARI KOXTAD DAGVILI AQVS, IQVE DGAS TASTEBI DA NAGVIT SAVSEVEDROEBI.

MOAMZADA
ილია მარტყოფლიშვილმა

ლევან დავითაშვილი



მძიმე იყო შენთან დაშორება ლევან, დიდი უბედურება დაგვატეხა თავს შენმა წასვლამ, მოუნელებელ ტკივილად და მოუშუშებელ ჭრილობად დაგვაჩნდი გულზე შენს მშობლებს. ძნელზე ძნელი ყოფილა შვილის დაკარგვა მშობლისთვის, გული ნაღვერდალივით იწვის და ამ წუთისოფელში განახევრებულები დავდივართ. ერთი წელია, დედაშენი სახლიდან გარეთ არ გამოსულა, მე კი უშენობით გამოწვეულ განცდებს როგორ ვუმკლავდები, სათქმელადაც მიჭირს. 27 სექტემბერს ერთი წელი გახდება, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. წახვედი, მაგრამ სახელიანად წახვედი, მთელმა რაიონმა დაგიტირა, უცნობმაც და ნაცნობმაც შენი წასვლის ტკივილი გულზე დაიჩნია. ჯერ კლასელის-რამაზ ოზაშვილის გარდაცვალების გამო დადიოდი სასაფლაოზე ხშირად, მერე ზაზა ტუხაშვილის სიკვდილმა გატკინა გული და მთლად მოგიღო ბოლო. ძალიან განიცადე, ზაზა ხომ უზომოდ გიყვარდა. შვილის სიზმარში ნახვას რომ ინატრებს მამა, ის ადამიანი ვარ. სიზმარშიც არ მეცხადები, რომ მოვიკლა შენი ნახვის სურვილი. ყველას გვენატრები, ყველას გვაკლიხარ, უშენოდ ცხოვრებამ ფერი დაკარგა, აღარაფერი გვეხალისება, აღარაფერი გვინათებს გულს, მხოლოდ შენი მოსახელე ლევანი გვაცოცხლებს, შენი ძმის შვილი. მისით ვსულდგმულობთ. იმედი გვაქვს, რომ სანთელ -საკმეველი გზას არ დაკარგავდა და სამუდამო სასუფეველს დაიმკვიდრებდი მარადიულ სასუფეველში. ნათელში იყოს შენი ხსოვნა, შვილო ლევან!

ოჯახისაგან

დეიდა ნათელა გელაშვილი, ნათლია ნანა მერაბიშვილი, ნუგზარ, გია, ნონა, მამუკა, ზურიკო, თამრიკო მამუკელაშვილები ოჯახებით გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მარიკა პოპიაშვილს მამის ძმის

ტარიელ ბაიდოს ძე პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ზურაბ ჯორკოშვილი, დავით შეითნიშვილი, რამაზ გოგობერიშვილი, დავით შანშაშვილი, პავლე თავაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს და მარიკა პოპიაშვილს მაზლის და ბიძის

ტარიელ ბაიდოს ძე პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

თამილა ნადირაშვილი, ნინო ნიკვაშვილი, ლია მაისურაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს და მარიკა პოპიაშვილს

ტარიელ პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ეგული ყოჩიაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ნანა ჭიჭინაძეს მაზლის

ტარიელ პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ასოციაციის თანათავმჯდომარეს ნანა ჭიჭინაძეს და პასუხისმგებელ მდივანს მარიკა პოპიაშვილს მაზლის და ბიძის, სოფ. გამარჯვების ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანის, კაცობის ეტალონის, პირველი კერძო წარმატებული მეწარმის, ბრწყინვალე დიზაინერის, ქველმოქმედის, წესიერი, კულტურული და განათლებული პიროვნების

ტარიელ პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შოთა ბიკაშვილს ძმის და ნაზი მოსაშვილს მეუღლის

ვანო ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნაზი მოსაშვილი, შვილი ილია ბიკაშვილი, რძალი თიკა ჭავჭანიძე, შვილიშვილები: ნია და ალექსანდრე ბიკაშვილები იუწყებიან

ვანო ბიკაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა კვირას, 1 ოქტომბერს, ქალაქ დედოფლისწყაროში.

ძმა შოთა ბიკაშვილი, რძალი ნანა შანშიაშვილი, ძმისშვილები: მუხრანი, ლალი ბიკაშვილები, რძალი შორენა ბოლქვაძე, სიძე დავით შავდათუაშვილი, ძმისშვილიშვილები: დაჩი, სალომე, ლუკა, მარეხი, ხატია, ანი სამძიმარს უცხადებენ ნაზი და ილიკო ბიკაშვილებს მეუღლის და მამის

ვანო ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

გულო ალუღიშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ნაზი მოსაშვილს და ილია ბიკაშვილს მეუღლის და მამის

ვანო ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: მადლენა ყოჩიაშვილი, ეკა და მაკა აფციაურები თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს და ილია ბიკაშვილს მეუღლის და მამის

ვანო ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: ნოდარ გივიშვილი, გივი ლომიძე, ელგუჯა ბასილაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, ალიკა სულაშვილი, სტეფანე ბატიაშვილი სამძიმარს უცხადებენ ნაზი მოსაშვილს მეუღლის და ილიკო ბიკაშვილს მამის

ვანო ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლია ხუციშვილი და ლამარა ჭუჭულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს მეუღლის

ვანო ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ანგელინა ღორაშვილი, თამაზ, დავით ჯარიაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს მეუღლის და ილია ბიკაშვილს მამის

ვანო ბიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ლალი ყოჩიაშვილს მეუღლის

გია ქურციკაშვილის

გარდაცვალების გამო.

მამიდაშვილები: ლალი, მარიკა, გია ბასილაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ლამარა გუგენიშვილს და კობა ალადაშვილს შვილიშვილის

დათუნა ვაშაკიძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

ნუგზარ კვაშალი და ოთარ ტატიშვილი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ანსამბლ „ივერიის“ ღვაწლმოსილი მსახიობები „ორი ჯუჯა“ – ნუგზარ კვაშალი და ოთარ ტატიშვილი ჩამოვიდნენ და ბავშვებისთვის კონცერტი ჩაატარეს. ისინი იუბილეს ყველა რაიონში კონცერტით აღნიშნავენ. დარბაზი გადაივსო უთვალავი ბავშვით, მსახიობებმა და მომღერლებმა ძირითადად ალექსანდრე ბასილაიას და ჯემალ ბაღაშვილის ცნობილი, ჰიტად ქცეული სიმღერები შეასრულეს ცოცხლად, რომელსაც მაყურებელი კარგად იცნობს. აქვე გახლდათ მომღერალი ზურა კობეშავიძე, რომელმაც იუბილარ მსახიობებს და დარბაზში მყოფ საზოგადოებას რამდენიმე სიმღერა ბავშვებთან ერთად შეუსრულა. მთელი კონცერტის მსვლელობისას თითქმის ყველა ბავშვი სცენაზე იდგა და მომღერლებთან, ჯამბაზთან და ანსამბლ „ივერიის“ არაჩვეულებრივ წევრებთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა. კონცერტით უპირველესად ბავშვებმა გაიხარეს. თუმცა, არც მშობლები დარჩნენ გულგრილნი. ეს იყო მართლაც საოცარი საღამო, ამხელა პიროვნებები დედოფლისწყაროში იშვიათი ფუფუნებაა გვენვივნენ და ეს შანსი რომ მოგვეცა, მართლაც მისასალმებელია, – აღნიშნავდნენ მშობლები. ღონისძიების დასასრულს ბავშვებმა ზურა კობეშავიძესთან, კვაშალთან და ტატიშვილთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

გაზეთი „შირაქი“ ანსამბლ „ივერიის“ ძირძველ ნევრს **ნუგზარ კვაშალს** ესაუბრა — „ჩემთვის, როგორც ყოველთვის, ყველა ქალაქში, ყველა კონცერტზე არის ერთი და იგივე ენერგიით და ემოციით დატვირთული საღამოები, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ეძღვნება ბავშვებს და ყოფილ ბავშვებს. როგორც ყოველთვის კახეთში მშვენიერ დედოფლისწყაროში, იგივენაირი მაყურებელია, იგივე სიყვარულით, მოფერებით, მქუხარე აპლოდისმენტებით და ჩახუტებით სავსე, როგორ ყველგან სხვაგან და ყოველთვის გვხვდებიან ჩვენ. დიდი მადლობა ყველას, ჩამოვალთ ხოლმე, რა ვიცით აბა, თუ მოვახერხეთ და თუ სიბერემ არ გაგვტეხა, მადლობა დედოფლისწყაროს. ჩვენ გვიყვარს ბავშვები, ჩვენ გვიყვარს ხალხი და მათგანაც მუდმივად ვგრძნობთ ჩვენდამი სიყვარულს. მთავარი ესაა.“

ანსამბლ „ივერიის“ იუბილარი წევრები დედოფლისწყაროელმა მაყურებელმა ოვაციებით გააცილა.

ლალი მეხრიშვილი

მეორე ადგილი საქართველოს თასზე ლაშქრობაში

23 და 24 სექტემბერს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაიმართა საქართველოს რეგიონალური თასი ლაშქრობაში. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის პროექტის ფარგლებში ერთმანეთს საქართველოს უძლიერეს მოლაშქრეთა რეგიონალური 11 გუნდი დაუპირისპირდა.

დედოფლისწყაროს გუნდს ორი განახლებული წევრით, არსენ და ნუგზარ ყარაგვეზაშვილები, ირაკლი ბულულღაშვილი, ლევან წიკლაური და ვალერი ვაჭრიძე წარმოადგენდნენ. მათ ინსტრუქტაჟზე მოლაშქრეთა ფედერაციამ იზრუნა.

დაძაბულ ვითარებაში ურთულესი რელიეფის და ტრავმების მიუხედავად, ჩვენმა ბიჭებმა არნახული მონდომება, ბრძოლის ჟინი და გამბედაობაგამოავლინეს. თავი გამოიჩინეს სპორტული მომზადებით და მხოლოდ 10 წუთით ჩამორჩნენ პირველ ადგილზე გასულ, საკმაოდ გამოცდილ, ცაგერელ მოლაშქრეებს.

„ძალიან საინტერესო ჩემპიონატი და დაძაბული ფინალური შეხვედრა იყო. დიდიმადლობა მინდა გადავუხადო ჩემპიონატის ორგანიზატორებს, ასევე ერთიან და მეგობრულ გუნდს, რომელმაც მართლაც დაუვიწყარი დღეები გვაჩუქა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრამ ოლაშქრეთა ეროვნულ ფედერაციას და ასევე მხარდამჭერებს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრს, რა თქმა უნდა ჩემი გუნდის ღირსეულ წევრებს, რომლებმაც თავი არ-დაზოგეს და ბოლომდე დაიხარჯნენ შედეგის მისაღწევად. დღევანდელ რეალობაში ჩვენს ქვეყანას სწორედ ასეთი სპორტული ტურნირები და აქტივობები გაძლიერებს. ვფიქრობ, რომ ახალგაზრდების მეტი ჩართულობა, ახალი მეგობრების შეძენა, ჯანსაღიცხოვრება, ურთიერთობები, ინტელექტის კიდევ უფრო ამაღლება, ფიზიკური და გონებრივი ვარჯიშები, გამოცდილების მიღება, ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ადგილების გაცნობა, შეფასება, დაფასება ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით ბორჯომიდან და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 26 წლის ასაკში ჩემი სახით კიდევ ერთი მოლაშქრე დაიბადა,“ – განიცხადა გაზეთ „შირაქს“ მსოფლიო ჩემპიონმა არსენ ყარაგვეზაშვილმა.

შეჯიბრს ესწრებოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე რევაზ ჯაველიძე, რომელმაც მიულოცა და სამახსოვრო სიგელებით დააჯილდოვა გამარჯვებულნი. დედოფლისყაროს გუნდმა საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა და ყველას თავი დაამახსოვრა. მესამე ადგილი ხარაგაულის წარმომადგენლებმა დაიკავეს. ჩვენი ბიჭების სალაშქრო ცხოვრება კი ახლა იწყება და მომავალშიც, დარწმუნებული ვარ, მრავალი გამარჯვების მოწმე და თანაზიარნი იქნებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის ეს სახეობა დედოფლისწყაროში ახლა იკიდებს ფეხს. ამ შემადგენლობისთვის ეს მეორე მცდელობა იყო. მათი, როგორც მოლაშქრეების დებიუტი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 22 ივლისს შედგა. ბიჭებმა კახეთის ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც თბილისის ეროვნულ პარკში ჩატარდა. იმხანად ჩემპიონატში კახეთის 7 გუნდი მონაწილეობდა, მათგან საუკეთესო კი უკვე ბორჯომში საქართველოს თასის ფინალურ ჩემპიონატში მიიღებდა მონაწილეობას. რეგიონის მასშტაბით გამარჯვებულად რამდენიმე თვის წინ სწორედ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდი დასახელდა და სწორედ ამიტომ კახეთის რეგიონი ჩვენმა მოლაშქრეებმა წარმოადგინეს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით, „ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამის“ ფარგლებში, ახორციელებსპროექტს – „საქართველოს თასი ლაშქრობაში“. მოცემული თამაშის იდეა „ჯეოქეჩინგის“ პრინციპზეა აგებული, თუმცა შეტანილია გარკვეულიცვლილებები, რომ შესაძლებელი გახდეს მოკლე დროში გამარჯვებულის გამოვლენა, ჯგუფური დაპირისპირება, გეოლოკაციური უნარების გარდა სხვა ცოდნისგამოვლენა, თამაშში მეტი ინტერესისა და დაძაბულობის შეტანა. „ჯეოქეჩინგი“ ფაქტობრივად განძზე ნადირობის ანალოგია, რომელიც გლობალურ ქსელზე დაფუძნებული თამაშია. ის 2000 წლიდან იღებსსათავეს და დღემდე მილიონობით მონაწილე ჰყავს. პირველი სამალავი 2000 წლის 3 მაისს განთავსდა და მას შემდეგ მათი რიცხვი მატულობს. სამალავები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშია მიმოფანტული, მათ შორის საქართველოშიც.

ილია მარტყოფლიშვილი

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ნანა ჭიჭინაძეს!

გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. იყავით ბედნიერი, ჯანმრთელი და ასეთი შემართებული ყველგან და ყველაფერში. თქვენი აქტიურობა, იდეათა სიუხვე, ინიციატივიანობა და ორგანიზატორული ნიჭი აშკარად ეტყობა ჩვენს ორგანიზაციას თავის საქმიანობაში. დიდხანს არ დაკარგოთ ის კოლორიტულობის ხიბლი, რაც თქვენში ბუნებრივად არსებობს.

პატივისცემით,

მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის სახელით: ვანო ნატროშვილი, ხათუნა აგლაძე, მარინა ღვინიაშვილი, მარინა ხარაშვილი, თამრიკო მოძღვრიშვილი, ინგა შიოლაშვილი, ნარა გორაშვილი, ნანა მერაბიშვილი, მარინა კიკილაშვილი.

ჩვენი ოჯახის ერთგულო მეგობარო და გულშემატკივარო ქალბატონო ნანა, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. თქვენ ასაკი არ გეტყობათ, კვლავაც დიდხანს იცოცხლეთ თქვენს შვილთან, შვილიშვილებთან, ახლობლებთან და სხვა მრავალ გულშემატკივართან ერთად. იყავით ბედნიერი და აკეთეთ თქვენი საყვარელი საქმე, რომელიც სიკეთეს და ადამიანების სიყვარულს გულისხმობს.

პატივისცემით,

ჯიმი, ლალი, ლია და გია ალულიშვილები ოჯახებით.

ვახუშტი ქიზიყურაშვილს!
ნანა ჭიჭინაძეს!

ბატონო ვახუშტი და ქალბატონო ნანა, მთელი გულით ვუერთდებით თქვენს სიხარულს, შვილიშვილების ვახტანგ ქიზიყურაშვილის და დათო ყოჩიაშვილის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას. საამაყოა ჩვენთვის, რომ ვახტანგი ვარშავის უნივერსიტეტის და დათო თბილისის პილიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. ორივე მათგანს ვუსურვებთ წარმატებულ სტუდენტობას და ინივერსიტეტებში მიღებული ცოდნის ღირსეულად გამოყენებას.

უღრმესი პატივისცემით,

ლერი და მარლენ კვაჭანტირაძეები, გენადი შიოლაშვილი, გივი ღვინიაშვილი, გოდერძი გონაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი.

ლალი ბიძინაშვილს!
ზურა ლომიძეს!

ახალდაქორწინებულებს ლალი ბიძინაშვილს და ზურა ლომიძეს ვულოცავთ ჯვრის წერას და ქორწინებას. ვუსურვებთ ღვთის წყალობას, ჯამთელობას, გამრავლებას, ლამაზი ტრადიციული ოჯახის შექმნას, ბედნიერ სიცოცხლეს.

თქვენს ცხოვრებას სიყვარული და სიხარული სდევდეს თან მუდამ. ჩვენ კი თქვენით ვამაყობდეთ და ვხარობდეთ, ჩვენო საყვარელო იმედიანო წყვილებო.

დიდი სიყვარულით: მშობლები ნინო იაკობიშვილი **და** სპირიდონ ბიძინაშვილი, **და** ეთო, ნანი **ბებო, ბიძინა** გოჩა, **ბიძაშვილები** ზაური და თამუნა იაკობიშვილები.

იყიდება!

დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ხორნაბუჯში იყიდება ერთსართულიანი სახლი ბელეტაჟზე, 3 ოთახიანი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი გაზით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის ჭა, რომელიც ზაფხულში არ შრება. ნაკვეთი გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდი 52.06.37.039 სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასია 20,000 ლარი.

☎ 599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 02.10	სამშაბათი 03.10	ოთხშაბათი 04.10	ხუთშაბათი 05.10	პარასკევი 06.10	შაბათი 07.10	კვირა 08.10
დღე	12°	10	10°	12°	13°	13°	14°
ღამე	10°	9°	9°	10°	11°	12°	13°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.